Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ განცხადება პალიტრა TV -ს გავრცელებასთან დაკავშირებით

კოალიცია ,,მედიის ადვოკატირებისთვის A ყურადღებით აკვირდება MUST Carry-სა და MUST Offer - ის პრაქტიკულ განხორციელებას და გამოთქვამს წუხილს, რომ მიუხედავად მრავალთვიანი დავისა, ვერ მოხერხდა მოლაპარაკება მაგთიკომსა და პალიტრა TV-ს შორის. დავა ვერ დარეგულირდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და სასამართლოს მიერ საკითხის განხილვითაც, რომლებმაც არ დაავალდებულეს მაგთიკომი საკუთარ სამაუწყებლო პაკეტში განეთავსებინა პალიტრა TV -ს კონტენტი. კოალიციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობისთვის, მიუხედავად იმისა, რომელ პლატფორმას იყენებენ მაუწყებლობის მისაღებად, თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი ადგილობრივი საერთო მაუწყებლები, იმგვარად , რომ არ მოხდეს მოქმედი ოპერატორებისთვის ტექნიკური პრობლემების შექმნა.

კოლაიცია გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს მაგითიკომისა და პალიტრა TV -ს მოლაპარაკებებში და შეასრულოს მედიატორის როლი.

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ წევრები:

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია);
- საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია (GARB);
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“;
- რეგიონულ მაუწყებელთა ქსელი;
- რეგიონული მედიის ასოციაცია;
- მედიაკლუბი;

- არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოებისათვის“
- ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი;
- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი